ცნობის ფურცელი

№ 2213 ორშაბათი, 21 ივლისი 1896—1903 ყოველ-დღიური გამოცემა № 2213

გაზეთის ღირს: წლიწადში—6 მან., ცალკე თვეში 50 კ. ნომერი—3 კაპ., დამატებით—5 კ. ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი „პეტიტით" პირველ გვერდზე—10 კ., მეოთხეზე—5 კაპ. ხელის-მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება: „მოამბე"-„ცნობის ფურც." რედაქციის კანტორაში ვანქის დიდ ქუჩაზე, № 27 და წ. კამ. ქართველთა ამხანაგობის კიოსკში (ქვაშვეთის ეკლესიის პირდაპირ).

ხელ-მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება.—დასაბეჭდი წერილები რედაქციის სახელობაზე უნდა გამოიგზავნოს.—პირდაპირი მოლაპარაკება რედაქციასთან შეიძლება ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა, შუადღის 11—1-დე საათამდე.

ფოსტის ადრესი: Тифлисъ, въ редакцію „Цнобисъ-Пурцели"-„Моамбе". ტელეფონი № 372.

საფაბრიკო საწყობი
ქაღალდის ფაბრიკის სააქციონერო საზოგადოებისა
გ. ი. პალლიზენ
რყევის ქაღალდის ფაბრიკის ამხანაგობისა და კოშელევების ქაღალდის ფაბრიკებისა.

ტფილისი, გოლოვ. პროსპ. მანთაშევის სახლში. ბაქო, მილიუტინის ქუჩა, გრანდ-ოტელის ქვემოდ.

ქაღალდი ყოველ-გვარი: ფოსტის, საწერი, წიგნის, ალბომის, გაზეთის, საბეჭდი და მუშტუკის, ბოთლის გასახვევი და სხვა; აგრეთვე წიგნები, კონვერტები, საწერი საკანცელარიო საგნები. ტელეფონი № 679. (0—97)

ტფილისის
კერძო სამკურნალო
მკურნალის დ. ა. გედევანიშვილისა
ავადმყოფებს იღებენ ყოველ დღე,
დილით:

ნ. ტ. მულინი.—ყურისა, ყელისა და ცხვირის 9—10.

დ. ა. გედევანიშვილი.—შინაგანი, ნერვების და წამლობა ელექტრონით 11—1 ს.

ექ. მ. ხოგოლევსკი—ქირურგია და ორტოპედია: ორშაბათობით, ოთხშაბათობით, პარასკეობით და შაბათობით 1—2 საათ.

სამკურნალოს აქვს ოთხი საწოლი კრავატი.

ფასი რჩევისა და დარიგებისა 50 კაპ.; ოპერაციები მორიგებით. კრავატები—სამი მანეთიდან ხუთამდე.

ადრესი: კუკია, ველიჩკოვსკის ქუჩა, სახლი აბრამოვისა, № 9, მიხეილის ქუჩიდან კი 34 Б.
(წდ.) ტელეფონი № 274.

ექიმი
ვ. ს. მუსხელიშვილი
მიიღებს თვალით ავადმყოფებს დილით 1—3 საათ., საღ. 6—7. წყნეთის ქუჩა № 24 სახლი ვაჩნაძისა. (წლ.)

ახალი ამბავი

◆ ვერ იქმნა, საბოლოოდ ვერ გადასწყდა შავის ზღვის პირად განზრახულ რკინის გზის საქმე. ამას წინად ერთი აქაური გაზეთი სწერდა, რომ ამ გზას თავი გაანებეს, რადგან ჰფიქრობენ კავკავ-ტფილისს შუა გაიყვანონ რკინის გზაო. ეხლა „რუს. ვედ." საყურადღებო ცნობებს გადმოგვცემს ამის შესახებ. გაზეთი სწერს, რომ შავის-ზღვის პირად რკინის გზის გაყვანა საბოლოოდ ჯერ ისევ შარშანვე გადასწყდაო. გზა სახელმწიფო იქმნებოდა, მაგრამ უნდა გაეყვანა იგი კავკავის რკინის გზის საზოგადოებას და იმასვე უნდა ეწარმოებინა. გზა უნდა დაწყებულიყო სენაკთან და გათავებულიყო ეკატერინოდართან. ეხლა ჩრდილოეთის მიმართულება ხელ-ახლა შეუცვლიათ. ახალი გზა კავკავისას ეკატერინოდარში კი არა, უფრო ზევით, არმავირში, უნდა შეუერთდეს. ეს კი სასარგებლოდ არ უცვნია კავკავის გზის საზოგადოებას. ამას გარდა თვით რკინის გზის გაყვანა შავის ზღვის პირად უფრო მეტად დაჯდება თურმე, ვიდრე წინად ჰფიქრობდნენ, ასე რომ 100 მილ. მანეთზე მეტი წავა (ვერსზე 200 ათასი მანეთი). ყველა ამის გამო საბოლოოდ გადაწყვეტილი საქმე დაიშალა, ე. ი. გზის გაყვანა საზარალოდ იცნეს როგორც ხაზინისთვის, ისე კავკავის რკინის გზის საზოგადოებისთვის. რაც შეეხება კავკავ-ტფილისის მიმართულებას, ამის შესახებ გაზეთი არაფერს გვეუბნება, მაგრამ საფიქრებელია, რომ პირველ პროექტის გაუქმების შემდეგ ამ მიმართულებამ ხელ-ახლა მიიქციოს ყურადღება.

◆ როგორც საერო განათლების სამინისტრომ განმარტა, წელს უნივერსიტეტში არ მიიღებენ რეალურ სასწავლებლებში კურს დამთავრებულთ.

◆ გზათა სამინისტრომ გადასწყვიტა სცადოს, ქალების სამსახური რუსეთის რკინის გზებზე რა ნაყოფს მოიტანს. ქალებს დანიშნავენ პასუხის საგებ თანამდებობებზე, მაგალითად, სადგურის უფროსებად, იმათ თანაშემწეებად და სხვ. არ მიიღებენ 25 წლისაზე უმცროს ქალებს. ახლად შემსვლელს საშუალო სასწავლებელი უნდა ჰქონდეს გათავებული.

◆ შემოდგომაზე მიწათ-მოქმედების სამინისტრო ჰგზავნის შავის ზღვის პირად მდებარე ადგილებში სამეცნიერო ექსპედიციას. უმთავრესი ყურადღება ექსპედიციამ მდინარეებისა და წყაროების გამოკვლევას უნდა მიაქციოს. სასმელი წყალი შავის ზღვის პირად ნაკლებად მოიპოვება, თუმცა გვირაბებში მთელ მდინარეებს პოულობენ თურმე. ასეთი მდინარე ზევით არ ამოდის და მიწის ქვეშ მიმდინარეობს ზღვამდე. ერთი ასეთი, კარგა მოზდილი, მდინარე გაგრის მახლობლადაც უნახავთ. ექსპედიციის მეთაურად დაუნიშნიათ ცნობილი გიდროლოგი, ფრანგი მარტოლი.

◆ როგორც „კავ."-ს პეტერბურგიდან დეპეშით ატყობინებენ, გამოუქვეყნებიათ ბრძანება საქართველოს საექსარხოსოში სასულიერო სკოლების მართვა-გამგეობის მოწყობის შესახებ.

◆ 18 ივლისსაც გაჩენილა ბაქოში ცეცხლი. დაიწვარა 20-მდე ნავთის კოშკი.

◆ ბალახანში, როგორც „ბაქ. იზვ." გადმოგვცემს, გაკრულია პოლიციის ბრძანება, რომ საღამოს 9 საათს შემდეგ ქუჩაში არავინ გავიდეს.

◆ ქალაქის ლომბარდი უკვე წლობით დაგირავებულ ნივთეულობას აზღვევს რუსეთის დამზღვევ საზოგადოებაში. ამ ჟამად რუსეთის საზოგადოებაში ლომბარდის ნივთები დაზღვეულია 475,000 მანეთად. ქალაქის საბჭოს გადაწყვეტილებით, ლომბარდს მიეცემა საწარმოო თანხის გასაძლიერებლად 85,000 მან., რაც კიდევ უფრო გაადიდებს რიცხვს დასაზღვევ თანხისას. ლომბარდის გამგის ანგარიშით, დასაზღვევი თანხა ადის 560,000 მანეთამდე. ყოველივე ეს ლომბარდის გამგემ გუშინ ტფილისის ქალაქის გამგეობას აცნობა და გამოუცხადა, რადგან ძალიან მეშინიან ამდენ ნივთების ერთ საზოგადოებაში დაზღვევა, გთხოვთ ნება მომცეთ, რომ ლომბარდის ნივთების დაზღვევა სხვა საზოგადოებაშიაც შემეძლოსო. გამგეს უნდა ნივთები დააზღვიოს „ნადეჟდა"-ს საზოგადოებაში.

წერილი სიღნაღიდან

მოაგარაკენი.—უსუფთაობა და უწყლობა.—წარმოდგენები.

თუმცა სიღნაღი ძალიან მოუწყობელი ქალაქია, თავის უსწორ-მასწორო, მინგრეულ-მონგრეულ ქუჩებითა და გორების სადარო უქონლობით ბევრს სოფელსაც ჩამორჩება, მაგრამ საამური ბუნებით მაინც კიდევ იტყუიებს და იზიდავს სააგარაკოდ ხალხს. გარეშე ხალხიც რომ არ ესტუმროს, ქალაქის დიძალი შვილნი, დაფანტულნი სხვა-და-სხვა ქალაქში, მაინც დაბრუნდებიან ხოლმე ზაფხულობით დასასვენებლად და სუფთა ჰაერის ჩასაყლაპად. ეს კია, ქალაქის სასეირნო მოედანზე ისეთი გორანტელი ადგება ხოლმე სეირნობის დროს, რომ მოსეირნენი ერთმანეთს ძლივს-ღა ხედავენ. საერთოდ სიღნაღში ჰაერი კარგია და შიდამოების ცქერით ხომ თვალი ვერ გაძღება, ნამეტნავად უცხოელისა. სამაგიეროდ მოსულნი ბევრ ნაკლს ითმენენ ხოლმე და, თუ გარეშე ერთხელ მოვიდა, მეორედ იმისი შემოტყუიდება შეუძლებელი ხდება. სხვა ყველა ნაკლს რომ გაუძლონ, უსუფთაობას ვეღარ იტანენ. მთელ ქალაქში აბანო და საბანაო რამ არ არის, სახლში აუზის მოწყობაზე ფიქრი ხომ მეტია, რადგან ზაფხულობით სიღნაღში დასალევი წყალიც ძნელი საშოვნელია.

ასე თუ ისე წელს მაინც საკმაო გარეშე ხალხი ესტუმრა სიღნაღს და თავისი კვალი დასვა. ქალაქში ეხლა მეტი მოძრაობაა, ხმაურობა, სხვაფერობა და მეტი სიცოცხლე. თუმცა ადგილობრივი გარემოება ყველაფერში აფერხებთ და ხელს უშლით გონივრულ გასართობების მოწყობაში, მაგრამ სტუმარნი, ნამეტნავად მოზარდი თაობა, მაინც არ იშლიან და, რითაც კი შეიძლება, ცდილობენ თავის გართობას. ასეც, 8 ივლისს მოზარდმა თაობამ გამართა წარმოდგენა. ითამაშეს: Лѣтняя Корзинка", ვოდევილი, „Безъ жены или Начальникъ въ гостяхъ", ვოდევილი, და „По памятной книжкѣ" ვოდევილი 1 მოქმედებად. წარმოდგენას მოჰყვა ცეკვა და ცეკვას კიდევ-ნადიმი. გამართა წარმოდგენა და გაერთო ხალხიც, მაგრამ გამმართველნიც და გართობილნიც ისევ მოსულნი სტუმრები გახლდნენ და რჩეულნი და ჯიბე სქელნი, რომელთაც გართობა ისეც არ აკლიათ ხოლმე. ადგილობრივნი და ხელმოკლენი კი ისევ ისე ებადიანი და გაურთობელნი არიან. საჭიროა მოსულმა და ადგილობრივმა ქართველებმა ითავონ და გამართონ ქართული წარმოდგენა, რომ დაბალი ხალხიც გაერთოს.

სხვა მხრივ ქალაქს ცვლილება არა ეტყობარა. „ქალაქის მამანი" თავიანთ ჯიბეების გასასქელებლად სოფლად არიან მიდებულნი, რათა ხაიგდონ გლეხებისაგან სარჩო.

დიდგულა

დაბა-სოფლები

ს. სამტრედია (იმერეთი). კარგის ამინდების წყალობით, ჯერ-ჯერობით ჩვენსკენ სიმინდის მოსავალს კარგი პირი უჩანს. თუმცა წელს ცოტა გვიან დაითესა ყანები, რადგან ერთ ხანს მემამულეებსა და გლეხებს უთანხმოება ჰქონდათ, მაგრამ მაინც არა უშავს-რა: სიმინდი მშვენივრად იზრდება, რადგან თავის დროზე წვიმა არ აკლდება. სწორედ ესიამოვნება ადამიანის სულსა და გულს, როცა დაინახავს მწვანეთ მობიბინე ყანებს, რომელიც საღამოობით აბობოქრებულ ზღვასავით ღელავს.

სამი თვე სრულდება, რაც სამტრედიაში ღამის ყარაულობა შემოიღეს. სამმა კაცმა უნდა იყარაულოს ოთხ ღამეს და ასე რიგ-რიგად ყველამ. ღამის ყარაული მოვალეა თვალ-ყური ადევნოს გამვლელს და გამომვლელსაც. საქმე ის არის, რომ ამ ახლად შემოღებულ ყარაულობაში ზოგიერთები არავითარ მონაწილეობას არ იღებენ, ხოლო რამდენიმე გლეხი ძალ-და-ძალ გაჰყავთ. გლეხი დილიდან საღამომდის ყანაში მუშაობს, ოფლში იწურება, საღამოს ბრუნდება შინ დაღალულ-დაქანცული, ჰფიქრობს, ღამე მაინც ვეღირსები მოსვენებასაო, მაგრამ მოსვენების მაგიერ ჰხვდება ჭიშკართან ნაცვალი და უბნება: ამაღამ შენი რიგია, უნდა იყარაულოო.

ბაბუცაშვილი.

—

სოფ. ქურა (ართვინი). ორს ივლისს სოფ. ქურის ერთ მცხოვრებს მოუტაცნია იმავე სოფლის ახალგაზრდა ქალი და სამს დღეს ტყეში ჰყოლია. საქმე ასე მომხდარა. ერთ დღეს, ყანაში ყოფნის დროს, კაცს დაუნახავს ეს ქალი, რომლის სიმშვენიერეს უმწყემსი ძალიან მოუხიბლავს, რის გამოც განუზრახავს ქალის მოტაცება და ცოლად შერთვა. თუმცა ერთი ცოლი ჰყავდა, მაგრამ, მაჰმადიანთა წესისამებრ, მეორეც მოინდომა. როგორც განიზრახა, ისე აასრულა, ქალი ძალად წაუყვანია და სამი დღე ტყეში ჰყოლია. რა თქმა უნდა, ქალის მშობლებს იმავე დღეს გაუგიათ, მაგრამ რადგან მომქმედ პირამდის ხელი არ მიუწვდებოდათ, იმის ცოლ-შვილის აკლებას შეუდგნენ. ქალის ძმა რკინით მიჰვარდა იმის ცოლთან და კინაღამ დაახრჩო როგორც ცოლი, ისე დედა მომტაცებლისა. როგორც იყო მეოთხე დღეს მოიყვანეს გაუპატიურებული ქალი და დედ-მამას ჩააბარეს. თითონ მომტაცებელი გადამალულა და უცდის დედ-მამას ქალის მიცემას, მაგრამ მშობლები ჯერ არ სთანხმდებიან.

გ—ო.

—

სოფ. ქანსული (ართვინი). აქეთ წელს ნათესს კარგი პირი უჩანს, მეტადრე სიმინდს, რადგან ამინდებმა ხელი შეუწყეს როგორც თესვაზე, ისე მარგვლაზე. შედარებით წინა წლებთან, თამბაქოც კარგი უნდა იყოს. თუმცა ამ ბოლოს დიდი სიცხეები დაიწყო და მიწაც გამოშრა, მაგრამ აქ თვითეულ გლეხს ისე მოწყობილი აქვს, რომ დღეში ორჯელ შეუძლიან მორწყვა ყანებისა. კარგი პირი უჩანს ყურძნის მოსავალსაც. ისე წლიწადი არ გასულა, რომ აქეთ გლეხს წლის სარჩო მოსვლოდეს, მხოლოდ წელს უნდა მოუვიდეს, მგონი, თუ ასეთი ამინდებით დაბოლოვდა.

ნ. ლოინტი

—

სოფ. სტეფანწმიდა (ხევი). ერთი წლიწადია თითქმის, რაც სტეფანწმინდის საზოგადოებამ განაჩენი დაადგინა და ამ განაჩენის ძალით გადაასახლეს საზოგადოებიდან ციმბირში ოთხი კაცი (ერთი ქისტი იყო გველეთელი). ორი იმათგანი, მიხეილ დუდუშაური და სვიმონ ფიცხელაური, გამოპარულან და 22 ივნისს მოვიდნენ სტეფანწმინდაში. მათდა საუბედუროთ, ქვეშეთის ბოქაულიც იმ ჟამად შეჰხვდათ. ბოქაულს აცნობეს ეს ამბავი. ბოქაულმა ორივენი შეიპყრო და უთხრა: „რათ გამოიქეცით და გამოსდით თქვენს დანიშნულს ბინას, ხომ უფრო გაიფუჭეთ ყოფა-ქცევა და შეინიშნენით მთავრობის წინაშეო". გამოქცეულებმა მიუგეს; „ჩვენ ბოროტის განზრახვით არ მოვსულვართ, ჩვენ იმიტომ მოვედით, რომ პირადათ გვეთხოვნა საზოგადოებისთვის, იქნება ისევ მიგვეღებინა თავის წევრებადო". ბოქაულმა ორივე დუშეთში გაჰგზავნა.

ქ. ო.

—

აბაშა. თქვენი მტერია, რაც ჩვენ მდგომარეობაში ვართ: დაფ-ზურნის განუწყვეტელმა ჭყიპინმა და მოქეიფეთა ღრიანცელმა ლამის ჭკუა გამოგვილიათ. ამას ზედ დაურთეთ რევოლვერების სროლა და სურათი დასრულებული იქმნება. მართლაც-და მოქეიფე ყაზბატონთა ყოფა-ქცევამ მეტად მოგვაბეზრა თავი. ამ გვარ უწესობას არავინ არავითარ ყურადღებას არ აქცევს: არც ის, ვისიც მოვალეობაა და არც ის, რასაკვირველია, ვისიც მოვალეობა არ არის.

7 ივლისს მთელი აბაშა ფეხზე იდგა. აქეთ-იქიდან გაიძახოდნენ: ქაჯები მოუყვანიათ საჩვენებლადო. მთელი ქალაქი დაიძრა, ან-კი „ქაჯის" ნახვას ვინ არ მოინდომებდა. მეც წავედი სანახავად. წარმოიდგინეთ ჩემი გაოცება, როცა დავინახე ქულაჯაში გამოწყობილი ქუთაისის გუნდის მომღერალნი. ქაჯებად ესენი მიუღიათ. ქუთაისის გუნდის მომღერლებმა ქულაჯებში ქალაქი შემოიარეს, უკან მიჰყვებოდათ მეორე გუნდი—ქუჩის ბავშვებისა. გამიკვირდა და მოვისურვე გამეგო, რად შემოიარეს ამ ტანისამოსით ქუჩები. ზოგმა მითხრა, გვინდა გავაცინოთ აბაშელებს მამა-პაპური ტანისამოსითო. უმეტესობა კი იმას ამბობდა, ხალხის ყურადღება გვინდა მივიქციოთ, რომ საღამოს კონცერტზე მოვიდესო.

დ. გ.

წერილი რედაქციის მიმართ

თქვენ პატივცემულ გაზეთის მე-2187 ნომრის „ქუთაისის ახალ ამბავ"-ში დაბეჭდილია შენიშვნა იმის შესახებ, ვითომ ქურდები ქუთაისის სადგურზე თითქმის ყოველ დღე ჟანდარმთა პოლიციის თვალ წინ მგზავრებს ნივთებსა ჰპარავდნენ. ეს შენიშვნა სიმართლეს მოკლებულია. ქაღალდებიდან და საბუთებიდან ნათლადა სჩანს, რომ ქუთაისის სადგურზე 1 იანვრიდან 22 ივნისამდე მოხდა თორმეტი ქურდობა. აქედან ათ შემთხვევაში დამნაშავენი შეიპყრეს და ნივთებიც აღმოაჩინეს. თუ სახეში მივი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლებთ იმ გარემოებას, რომ სადგურზე ყოველ დღე 4 ათას კაცამდეა, მაშინ 12 ქურდობა აქვს თვეში დიდ რამედ არ უნდა ჩავთვალოთ. რაც შეეხება ამ შენიშვნაში აწერილ 9 ივნისის ქურდობას (ვითომ სამ მანდილოსანს სადგურის ოთახში სხვა და სხვა ნივთები მოჰპარეს), ისიც შეცდომითაა აწერილი. 9 ივნისს, ღამე, ქურდებმა მართლაც მოჰპარეს ერთ მანდილოსანს (და არა სამს) რიდიკიული, სადაც წვრილმანი ნივთები ჰქონდა (და არა პორტმონე, წამოსასხამი და სხვა). რიდიკიული ნივთებით მაშინვე იპოვნეს იმავე ოთახის ფანჯარასთან, ბაღჩაში. გამოსარკვევია, ისიც-კი, ეს რიდიკიული მოიპარა ვინმემ, თუ პატრონმა ან იმასთან მყოფმა მანდილოსანმა შემთხვევით ან შეუმჩნევლად გადააგდო ღია ფანჯრიდან. რიდიკიული პატრონს გადაეცა.

ამიერ-კავ. რკ. გზ. ჟანდარმთა საპოლიციო
გამგეობის ქუთაისის განყოფილების უფროსი
როტმისტრი გამრეკელიძე.

დეპეშა

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან)

19 ივლისი.

საროვო. ტამბოვის გუბერნიის საზღვარზე ხელმწიფე იმპერატორს ტამბოვის გუბერნიის თავად-აზნაურობის წინამძღოლი თავადი ჩოლოყაევი მიეგება და მოახსენა: „თქვენო იმპერატორებითო უდიდებულესობავ! ტამბოვის თავად აზნაურობა უქვეშევრდომილესად სთხოვს თქვენ იმპერატორებით უდიდებულესობათ მიიღოთ იმისაგან ეს პურ-მარილი ნიშნად ტამბოვის თავად-აზნაურობის თქვენდამი უსაზღვრო სიყვარულისა და ერთგულებისა“. ხელმწიფე-იმპერატორმა მადლობა გადაუხადა. პურ-მარილი მიართვეს აგრეთვე საგუბერნიო ერობამ, ქალ. ტამბოვმა, გლეხებმა, სამაზრო ქალაქებმა და აქაურმა თათრებმა; ტემნიკოვის მაზრის მეექვსე ნაწილის გლეხებმა ხატი მიართვეს; სოფელ სოლომენკის გლეხის ქალებმა წმ. ნიკოლოოზ სასწაულთ მოქმედის ხატი მიართვეს; არარუსთ დახატული სინი მიართვეს. ხელმწიფე იმპერატორმა მოწყალედ მადლობა გადაუხადა ყველას.

კურგანი. მოსკოვის სასოფლო-სამეურნეო საზოგადოების კურგანის განყოფილებას ტობოლსკის საბეითალო ინსპექტორმა ციმბირის ჭირის აცრაზე მოახსენა; ამ ზაფხულს აცრას კარგი ნაყოფი მოუტანია და იმედია, რომ მომავალში საქონლის ჭირთან ბრძოლა გაადვილდება.

პორტ-არტური. „ნოვი კრაი“ გახარებული სწერს, ჩინეთის აღმოსავლეთი გზა რუსეთის ხელში გადმოვიდაო და ამტკიცებს, რომ რუსეთმა მაგრად მოიკიდა ფეხი კვანტუნშიო; ეს გარემოება მშვიდობიანობის თავდებიაო. გაზეთი უმატებს, იაპონიას ვერ გაუგია, რომ რუსეთს თითონ მანჯურია კი არა, ოკეანეში გასავალი სჭირია; რუსეთის ჯარი ქვეყნების დასაპყრობად კი არა, ჩვენგან დაწყებულ საქმეების დასაცველად მოდის შორეულ აღმოსავლეთშიო.

სოფია. რაც კი ბოლგარიის ხელმძღვანელ წრეებში ცნობები შეიკრიბა, არც ერთი არ ამართლებს იმ ხმას, ვითომ მთავარ ფერდინანდს ტახტიდან გადადგომა უნდოდეს.

საროვო. 18 ივლისს დილის წირვის დროს მიძინების ტაძარში მათ იმპერატორებით უდიდებულესობათ წმინდა საიდუმლო მიიღეს. მესამე საათზე ხელმწიფე-დედოფლები ეტლებით წმიდა სერაფიმეს ახლო და შორეულ უდაბნოებში წაბძანდნენ. ხელმწიფე-იმპერატორი და დიდი მთავრები ფეხით წაბრძანდნენ. მლოცავები, რა კი საყვარელი მამა-ხელმწიფე ახლო ნახეს, საოცარ აღტაცებაში მოვიდნენ. ძლიერი „ურა“ არ შეწყვეტილა. საღამოს 6 საათზე მწუხრის ზარები დარეკეს; ყაზანის არქიეპისკოპოსი და ნიჟეგოროდისა და ტამბოვის ეპისკოპოსები ტაძარში მოვიდნენ, მერე მიტროპოლიტი ანტონიც მოვიდა: ხორო და იპოდიაკონები ახლდნენ. მეშვიდე საათის 15 წამზე ხელმწიფე-დედოფალი მარიამ თეოდორეს ასულის ოთახებიდან მათი იმპერატორებითი უდიდებულესობანი მიძინების ტაძარში წაბრძანდნენ. რუსეთის სხვა და სხვა კუთხიდან მოსულნი ხატის მედროშენი ზოსიმე და საბატის ტაძართან, სადაც წმ. სერაფიმეს ნაწილი ინახება, ირგვლივ დადგნენ. მერვე საათის 3 წუთზე მიძინების ტაძრიდან ლიტანიით გაემართნენ ზოსიმე და საბატის ტაძრისაკენ; წმ. სერაფიმეს ნაწილი მიძინების ტაძრის გარშემო შემოატარეს. ლიტანიის დაწყებამდე მიტროპოლიტმა ლოცვა წაიკითხა: „ყოვლად მოწყალე მეუფეო“. ნაწილი ტაძარში შეიტანეს. ხელმწიფე-იმპერატორსა და დიდ მთავრებს 12 არქიმანდრიტით წმ. სერაფიმეს კუბო მიჰქონდათ; კუბოს მისდევდნენ მიტროპოლიტი, ეპისკოპოსები, ხელმწიფე-დედოფლები და დიდი მთავრები. ხალხიც ზოგი კუბოს მისდევდა, ზოგი იდგა ანთებულის სანთლებით. კუბოს დანახვაზე ხალხი პირქვე ემხობოდა; ბევრნი ტიროდნენ. მონასტერს გარშემო უფრო დიდძალი ხალხი იდგა ანთებულის სანთლებით და მხურვალედ ლოცულობდა; წყნარი საღამო იყო; სანთელი არსად ჰქრებოდა. მონასტრის ახლო-მახლო, სადამდეც თვალი მისწვდება, სულ მლოცავები დგანან. მწუხრის შემდეგ მონასტერში მყოფნი წმ. ნაწილს ემთხვივნენ; მერე რიგ-რიგისად დანარჩენნი მლოცავებიც ემთხვივნენ. 19 ივლისს, 8 საათზე, წირვის ზარები დარეკეს და ტაძარში მიტროპოლიტი ანტონი მობრძანდა. მწირველები იყვნენ მიტროპოლიტი, არქიეპისკოპი დიმიტრი, ეპისკოპოსები ნაზარი და ინოკენტი და მრავალი არქიმანდრიტი და მღვდელი. მეტად დიდებული იყო ის წამი, როდესაც წმ. სერაფიმეს ლუსკუმა გალობით საკურთხეველში შეიტანეს. ბევრი ტიროდა. წირვის შემდეგ, კუბო ნაწილით ორსავ ტაძრის გარშემო შემოატარეს. კუბო ხელმწიფე-იმპერატორს, დიდ-მთავრებს და 12 არქიმანდრიტს მიჰქონდა. მრავალი სნეული და ხეიბარი მეტად დიდის რწმენით ევედრებოდნენ წმ. სერაფიმეს. წირვის დროს არქიეპისკოპოსმა დიმიტრიმ სიტყვა წარმოსთქვა. გუშინ მწუხრის წინ ყველა ხატის მედროშეთა საზოგადოებამ ხელმწიფე იმპერატორს წმ. სერაფიმეს ხატი მიართვეს. ტრაპეზზე თითქმის სამასამდე სული მიიწვიეს; რამდენიმე სუფრა გაშალეს მათ იმპერატორებით უდიდებულესობათა სუფრის ახლო. ხელმწიფე-იმპერატორი სუფრის შუა ადგილას დაბძანდა; ხელმწიფის გვერდზე ორსავ მხარეს ხელმწიფე-დედოფლები ალექსანდრა თეოდორეს ასული და მარიამ თეოდორეს ასული. სხვა უმაღლესი პირები, სასახლისა, შინაგან საქმეთა და გზათა მინისტრები და ამალაც იყვნენ ტრაპეზზე. ხელმწიფე-იმპერატორისა და ხელმწიფე-დედოფლების პირდაპირ ისხდნენ მიტროპოლიტი ანტონი, არქიეპისკოპოსი დიმიტრი და ეპისკოპოსები ინოკენტი და ნაზარი. მიწვეულთა შორის კურსკის ქალაქის მოურავი, ნიჟეგოროდის გუბერნატორი და ტამბოვის გუბერნიის ადმინისტრაციის უმაღლესნი პირნიც იყვნენ. მედროშეთ მეზობლად ცალკე ოთახში გაუშალეს სუფრა. ტრაპეზის წინ სამღვდელოებამ ლოცვა იგალობა. ტრაპეზის დროს წარმოსთქვეს და იგალობეს მრავალჟამიერი მათის იმპერატორებით უდიდებულესობისა და მთელ სამეფო გვარეულობისათვის. როცა წმ. სერაფიმეს კუბო მიჰქონდათ, წირვის დროს, მასლენიკოვის მუნჯი ქალი, 12 წლისა, მოსკოვიდან, განიკურნა და სთქვა: „დედავ, წავიდეთ“.

რომი. კარდინალები ნაშუადღევის 5 საათზე შეიკრიბნენ წმ. პავლეს კაპელაში და სადღესასწაულო პროცესსით გაემართნენ სიქსტინის კაპელისაკენ, სადაც კონკლავის სხდომებია. კარდინალებმა და, საზოგადოდ, იმათ, ვინც კონკლავში მონაწილეობენ, ფიცი მიიღეს. ჩამობნელებისას კონკლავის მარშალმა საკუთარის ხელით დაკეტა ორივე უმთავრესი კარი. კონკლავზე სულ 365 კაცია; აქედან 62 კარდინალია, 40 მთავარ-ეპისკოპოსი და ეპისკოპოსი. 11 საათსა და 45 წუთზე სიქსტინის კაპელის თავზე გამოჩნდა პირველად კომლი: დასწვეს საარჩევნო ფურცლები. კანდიდატის არჩევის შემდეგ კარდინალებს დღეში ორჯელა აქვთ კრება: დილის 10-ს და ნაშუადღევის 4 საათზე. თვითო კრება ორ საათსა გრძელდება.

ბუდა-პეშტი. ფრანც კოშუტი ხელ-ახლა აარჩიეს დამოუკიდებელ დასის თავმჯდომარედ. კოშუტმა სურვილი გამოსთქვა, რომ დასი შემდეგშიაც მხნედ ებრძოლოს თანამედროვე რეჟიმს.

ბელგრადი. ოსმალეთის ელჩმა ფეთხი-ფაშამ გადასცა მეფეს რწმუნების ქაღალდები.

ვენა. ინგლისის მეფე 2 აგვისტოს მარიენბადში მოვა, სადაც სამ კვირას დაჰყოფს.

20 ივლისი

საროვო. ხუთი საათის ნახევარზე მათი უდიდებულესობანი და მათი უმაღლესობანი გაემართნენ სააზნაურო პავილიონისაკენ, სადაც მიეგებათ ტამბოვის გუბერნიის თავად-აზნაურთა წინამძღოლი თავადი ჩოლოყაევი და მთელი თავად აზნაურობა. პავილიონი გამართულია მდინარე სოტის მახლობლად და მშვენივრადაა ყვავილებით მორთული. ხელმწიფე-იმპერატრიცებსა და დიდ მთავრებს თაიგულები მიართვეს. როდესაც შამპანიური მოართვეს, თავადმა ჩოლოყაევმა სიტყვა წარმოსთქვა და სადღეგრძელო დალია ხელმწიფე-იმპერატორისა, იმპერატრიცათა, ხელმწიფე-მემკვიდრისა და სრულიად სამეფო სახლეულობისა. ყოველ სადღეგრძელოს მოჰყვებოდა ხოლმე მეგობრული „ურა“. ხელმწიფე-იმპერატორმა მადლობა გადაუხადა მიღებისათვის და ტამბოვის თავად-აზნაურობის სადღეგრძელო დალია.

როსტოვი-დონზე. ბირჟის კომიტეტის კრებამ განიხილა ნიკოლაევის ბირჟის წინადადება, დააწესონ ოდესის ბირჟასთან ერთად წარმომადგენლობა გენუაში სამხრეთ-რუსეთიდან გაზიდულ საქონლის ინტერესების დასაცავად. როსტოვის კომიტეტს სასარგებლოდ და შესაძლებლად მიაჩნია ასეთივე წარმომადგენლობა დაარსდეს როტტერდამსა, ლონდონსა, ჰამბურგსა, მარსელსა და ანტვერპენში.

იალტა. მოვიდა ბუხარის ემირი.

ბლაგოვეშჩენსკი. პანაშვიდის შემდეგ, რომელსაც დაესწრნენ სამხედრო და სამოქალაქო უწყების მოხელენი, ქალაქისა და სამოსწავლო უწყების წარმომადგენელნი, მოქალაქენი, მხედრობა და მრავალი ხალხი, გახსნეს გარნიზონისაგან აგებული ძეგლი 1900 წელს ჩინელებთან ბრძოლაში დახოცილ ბლაგოვეშჩენსკის გარნიზონის 28 მხედართა სახსოვრად.

სოფია. ჯერ კიდევ სწარმოებს მოლაპარაკება ოსმალეთის კომისარის ფერუხ-ბეის და ადგილობრივ მთავრობას შორის გამოქცეულების უკანვე დაბრუნების შესახებ. მთავრობამ ბურგასის პრეფექტს დაავალა შეიტყოს, გადმოსახლებულთაგან ვის სურს მალე დაბრუნდეს. სხვა-და-სხვა წარმომადგენელთა კომისია ჯერ არ შეუდგენიათ.— მთავრობის წრეები უკმაყოფილონი არიან იმით, რომ ოსმალეთი თავის პირობას მაკედონიის შესახებ მეტად ნელა ასრულებს.— მინისტრმა პეტროვმა კომისარს უბრძანა ენერგიული წინადადება გაუგზავნოს პორტას პატიმართა განთავისუფლებისა და ეკკლესიებისა და სკოლების გახსნის შესახებ.—მცოდნე წრეები კატეგორიულად არღვევენ კონსტანტინეპოლში გავრცელებულ ხმებს, ვითომც მაკედონიაში ახალი ამბოხება მზადდებოდეს. ამ ხმებს აზრად აქვთ ახალი სიმხეცეები გაამართლონ.

ვენა. შაქრის საქმის კანონი 19 ივლისს (1 აგვისტოს) მოისპობა. ამას სამშაბათს გამოაქვეყნებენ.

რომი. სპეციიდან იუწყებიან, ფილალტიერო-მულაცცოსთან ახლო ადგილებში მიწის ძვრა მოხდა; ეკკლესიები და შენობები დაინგრა და ხალხი დაშავდა.

რედაქტორ-გამომცემელი **ალ. ჯაბადარი**

გამოსადეგი ცნობანი

პეტერბურგის ბირჟა 18 ივლისს

ვექსილის კურსი 3 თვით:

ლონდონზე 10 გირვ. სტ.	93,75
ბერლინზე 100 მარკაში	—
პარიზზე 100 ფრანკში	—
ლონდონზე ჩეკები	94,40
ბერლინზე „	46,30
პარიზზე „	—
ბირჟის დისკონტი	5—6$\frac{1}{2}$%
5% სახელმწიფო რენტა	99$\frac{5}{8}$ გაყ.
4%-ანი სახელმწ. სესხი 1902 წ.	100$\frac{3}{4}$ მყიდ.
4$\frac{1}{2}$% შინაგანი სესხი 1893 წ.	—
4% გირავნ. ფურც. სახელ. საადგ.-მამ. ბანკისა.	95$\frac{1}{8}$ „
5% 1-ლ შინაგან სესხის მომგებ. ბილ. 1864 წ.	440$\frac{1}{2}$ გაყ.
5% მეორე შინაგ. სესხის მომგებ. ბილ. 1866 წ.	335$\frac{1}{2}$ გაყიდ.
5% გირავნ. მომგ. ფურც. სახელმ. საადგ.-მამ. ბანკისა	288$\frac{1}{2}$ „
5% ობლიგაციები ტფილ. საკრედიტო საზოგ.	—
4$\frac{1}{2}$% ობლიგაც. იმავე საზოგადოებისა	88$\frac{1}{2}$ „
5%-ანი ობლიგ. ბანკის საკრედ. საზოგადოებისა	85$\frac{7}{8}$ „
ტფილ. საადგილ-მამ. ბანკის 5% გირავნ. ფურც.	92$\frac{1}{2}$ „
4$\frac{1}{2}$% გირავნობის ფურც. იმავე ბანკისა	—
ქუთაისის საადგილ-მამ. ბანკის 6% გირ. ფურც.	—
5% გირავნ. ფურც. იმავე ბანკისა.	91$\frac{3}{4}$ „
ა. ი. მანთაშევისა და ამხ. აქცია	190 „

მიმოსვლა რკინის გზების მატარებლებისა

18 აპრილიდან

(ფრჩხილებს გარედ ნაჩვენებია პეტერბურგის საათი, ფრჩხილებში—ტფილისისა)

ა) ტფილისიდან მიდის:

ბათუმს: 1) სწრაფი მატარებელი № 1 დილის 9) ს. 39 წ. (10 ს. 37 წ.); 2) საფოსტო № 3 საღამოს 5 ს. 20 წ. (6 ს. 18 წ.), 3) სამგზავრო № 5 დილის 6 ს. 51 წ. (7 ს. 49 წ.).

ბაქოს: 1) სწრაფი № 20 (მარტო სამშაბათობით, პირდაპირ მოსკოვამდე) ნაშუადღევის 3 ს. 26 წ. (4 ს. 24 წ.); 2) საფოსტო № 4 დილის 10 ს. 51 წ. (11 ს. 49 წ.); 3) სამგზავრო № 6 ღამის 10 ს. 34 წ. (11 ს. 32 წ.).

ყარსსა და ერევანს: 1) საფოსტო № 74/75 ღამის 11 ს. 32 წ. (12 ს. 30 წ.); 2) სამგზავრო № 90/91 შუადღის 11 ს. 40 წ. (12 ს. 38 წ.).

2 **ბორჯომს.** 1) სამგზავრო № 7/8 ნაშუადღევის 2 ს. (2 ს. 58 წ.); 2) სამგზავრო № 9/10 დილის 5 ს, 3 წ. (6 ს. 21 წ.).

ბ) ბათუმიდან გამოდის:

ბაქო-ტფილისისაკენ: 1) სწრაფი № 2 ღამის 10 ს. 24 წ. (11 ს. 22 წ.); 2) საფოსტო № 4 საღამოს 9 ს. 23 წ. (10 ს. 21 წ.); 3) სამგზავრო № 6 დილის 9 ს. 39 წ. (10 ს. 37 წ.).

გ) ბაქოდან გამოდის:

ტფილის-ბათუმისაკენ: 1) სწრაფი № 19 მარტო ტფილისამდე, პარასკევობით, მოსკოვიდან მომავალი) ღამის 3 ს. 42 წ. (4 ს. 40 წ.); 2) საფოსტო № 3 საღამოს 9 ს. 18 წ. (10 ს. 16 წ. 3). სამგზავრო № 5 ნაშუადღევის 1 ს. 08 წ. (2 ს [illegible] წ.).

დ) ქუთაისიდან გამოდის:

ბაქო-ტფილისისაკენ: 1) ღამის 1 ს. (1 ს. 58 წ.) 2) დღის 1 ს. 25 წ. (2 ს. 23 წ.).

ბათუმისაკენ: 1) ღამის 1 ს. (1 ს. 58 წ.); 2) დღის 1 ს. 25 წ. (2 ს. 23 წ.); 3) დღის 3 ს. 50 წ. (4 ს. 48 წ.).

შორაპანისაკენ: დღის 2 ს. 10 წ. (3 ს. 8 წ.(

განცხადებანი

«წიგ. გამომც. ქართველთა ამხანაგობის»

კიოსკში,

ლორის-მელიქოვის ქუჩა, ალექსანდროვის ბაღის კუთხეში, იყიდება ამხ. გამოცემული წიგნები:

	მ.	კ.
დაბადება და აღზრდა ერეკლე ბატონიშვილისა—მოსე ჯანაშვილისა.	—	10
იოსებ დავითაშვილის ლექსები	—	50
ბნელი მოთხრობა—მელანიასი.	—	20
ა. ყაზბეგის I, II და III ტომი თითო	1	
იგივე IV ტომი კარგ ქაღალდზე	1	50
ი. ჭავჭავაძის I ტომი	—	70
იგივე II და III ტომი თითო	—	60
იგივე IV ტ. ორ წიგნად.	—	80
სოფლის კუნწულა—დ. მაჩხანელისა	—	10
სიბრძნე-სიცრუისა—საბა სულხან ორბელიანისა.	—	40
აკაკი წერეთლის I და II ტომი თითო	—	60
რაფ. ერისთავის I ტომი	—	60
საქართველოს წარსული დრო—პოტტოსი	—	20
სამზარეულო—ქართული და ევროპიული საჭმელებისა.	1	20
აივენგო, რომანი—ვალტერ სკოტისა	—	50
სიბრძნე ბალავარისა	—	30
აღა-მაჰმად-ხანის შემოსვლა ტფილისში	—	15
ლეონის დაცემა პრუსს. გ. პეტრიაშვილისა	1	50
რძალ, მისივე	1	50
ცეცხლით და მახვილით, რომანი—გენრიკ სენკევიჩისა	—	80
ლასტურ-დამა	—	20
ტარტიუფი, კომედია 5 მოქ. მოლიერისა	—	50
სურათები საქართველოს მეფეთა, დედოფალთა და ბატონიშვილთა.	—	20
ფიზიოლოგია—ფოსტერისა	—	25

პროვინციელთ შეუძლიათ წიგნები ფოსტით დადებით გაიწერონ, ხოლო გაწერილ წიგნების ფასის ერთი მესამედი წინდაწინვე უნდა წარმოადგინონ. მანეთზე ნაკლები ფული შეუძლიათ ფოსტის მარკებით გამოგზავნონ. ფოსტის ადრესი: Тифлисъ Грузинское Издательское Товарищество.

ესევე წიგნები იყიდება ქუთაისში, ქუთაისის წიგნების გამომცემელ ამხანაგობის კიოსკში, ბაღის ყურეში.

Дозв. ценз. Тифлисъ, 20 Іюля, 1908 г. ელექტრონის სტამბა წიგნ. გამ. ქართ. ამხ. (Электропеч. Груз. Издат. Т—ва)